# ცნობის ფურცელი

V წ. ყოველდღიური გამოცემა კვირა-დღეების შემდეგაც.—პარასკევი, 28 აპრილი 1900 წ. № 1108

**გაზეთი ღირს:** წელიწადში—6 მან., თვეში—75 კაპ., ცალკე ნომერი—3 კაპ. ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე—10 კ. მეოთხეზე—5 კ. ხელის-მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება: „მოამბის“ და „ცნობის ფურცლის“ რედაქციაში ვანქის ქ., № 27, წერა-კითხვის გამავრც. საზოგ. კანცელარიაში და წიგ. გამომც. ქართველთა ამხანაგობის კიოსკში (ქვაშვეთის ეკკლესიის პირდაპირ).

**რედაქცია** იმყოფება ვანქის დიდ ქუჩაზე, მარტიროსოვის სახლი № 27.—ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება.—დასაბეჭდი წერილები რედაქციის სახელობაზე უნდა გამოიგზავნოს.—პირისპირ მოლაპარაკება რედაქციასთან შეიძლება ყოველ დღე კვირა-უქმეების გარდა 11 საათიდან 1-ლ საათამდე. (შუადღითა).

ფოსტის ადრესი: **Тифлисъ, въ редакцію „Цнобисъ-Пурцели“—„Моамбе“.**

**ტელეფონი № 372.**



## საუკეთესოდ მოწყობილი
## სტამბა
## წიგნების გამომც. ქართველთა ამხ—ბისა
## იღებს ყოველგვარ
## სასტამბო საქმეებს

სტამბა იმყოფება ვანქის დიდ ქუჩაზე, მარტიროსოვის სახლში

## ყარსული ყლების ჟურნალი
# „მოამბე“

გაიყიდება შემდეგ ფასებად: 1894 და 1895 წ. წ.—შვიდ-შვიდ მანეთად და 1896, 1897 და 1898 წ. წ.—ხუთ-ხუთ მანეთად. ხოლო 1899 წ. «მოამბე» 1900 წ. ხელის მომწერთათვის ეღირება ხუთი მანეთი.

ქალაქ გარეშე მცხოვრებთ თითო წლის ჟურნ. «მოამბის» ფოსტის ხარჯათ 60 კაპ. უნდა გამოგზავნონ. ჟურნ. „მოამბის“ ადრესი: Тифлисъ, въ редакцію журнала „Моамбе“.


### მთავრობის განკარგულებანი

დერბენტის მე-145 ქვეითა პოლკის პოლკოვნიკი ჩიკოიძე დაინიშნა კავკასიის მე-6 მსროლელ ბატალიონის უფროსად.

ტფილისის სამაზრო მომრიგებელ განყოფილების მდივნის თანაშემწეს გუბერ. სეკრეტარს თუშმელაშვილს დრთ. მოადგილის... 

## ახალი ამბავი

✦ გუშინ, 27 აპრილს, ტფილისის სათავად-აზნაურო ბანკის წევრთა კრებას ორი სხდომა ჰქონდა—დილასა და საღამოს. ორივე სხდომა კრებამ მოანდომა ბაქოს სააგენტოში მომხდარ უკანონობათა და ფულის გაფლანგვის საქმის განხილვას. ღამის 12 საათზე კრებამ 34 ხმით წინააღმდეგ 14-სა შეიწყნარა გამგეობისა და ზედამხედველ კომიტეტის მოხსენება, რომელიც დაბეჭდილია ქვევით ანგარიშში.

✦ ამ დღეებში შესრულდა 25 წელიწადი მას შემდეგ, რაც დაარსდა ამიერკავკასიის საზებით ინსტიტუტი. ამ დღეს ინსტიტუტის დირექტორს ბ. ფიშერს გაუგზავნია დიდის მთავრის მიხეილ ნიკოლოოზის ძისთვის დეპეშა, რომელშიაც მადლობას უცხადებს მის უმაღლესობას ინსტიტუტის სახელით იმ მფარველობისა და მზრუნველობისათვის, რომელსაც დიდი მთავარი იჩენს ინსტიტუტისადმი. მის უმაღლესობას შემდეგი საპასუხო დეპეშა გამოუგზავნია ბ. ფიშერისათვის: „ვულოცავ ჩვენს ინსტიტუტს 25 წლის არსებობას. გულწრფელად გმადლობთ მხურვალე მოკითხვისათვის და გამოთქმულ გრძნობათათვის. ღმერთმა ინებოს ძვირფასის დაწესებულების აღყვავება და განვითარება. ვმადლობ ყველა მოღვაწეთ შრომისათვის. მიხეილი“.

დიდს მთავარს შეუწირავს 20.000 მანათი გინეკოლოგიურ განყოფილებისათვის ახალის შენობის ასაგებად და 2050 მანათი ინსტიტუტის სხვა საჭიროებათა დასაკმაყოფილებლად.

✦ **ქუთაისის სათავად-აზნაურო ბანკის რწმუნებულთა კრება** დანიშნულია 30 მაისისთვის. კრების საგნები: 1) ბანკის მოღვაწეობის მოქმედება 1899 წელს; 2) ხარჯთაღრიცხვა 1900 წლისა; 3) საზოგადო საჭიროებისათვის გადადებულ თანხის განაწილება; 4) შესწორება და დამატება წესდების ზოგიერთ მუხლებისა; 5) ზედამხედველ კომიტეტის მოხსენება იმ მამულების შესახებ, რომელიც ბანკს დარჩა; 6) არჩევანი გამგეობისა და ზედამხედველ კომიტეტის იმ წევრებისა, რომელთაც სამსახურის ვადა უთავდებათ.

✦ დიდს მთავარს მიხეილ ნიკოლოოზის ძეს **შეუწირავს** ასი მანათი ტფილისის პეტრე-პავლეს სამრევლო-საეკკლესიო სკოლის საჭიროებათა დაკმაყოფილებისათვის.

✦ როგორც უკვე ვაუწყეთ მკითხველთ, ამ ჟამად სწარმოებს **რევიზია ტფილისის საგუბერნიო დაწესებულებათა.** რევიზიის დასაჩქარებლად, „კავკაზ“-ის სიტყვით, მთავარმართებელს თავ. გ. ს. გოლიცინს პეტერბურგიდან გამოუგზავნია საგანგებო მინდობილებათა მოხელე დავ. კურაკინი.

✦ **მარგანეცის მწარმოებელთა** მესამე **კრება** მოხდება ქუთაისში მაისის 15-მდე. კრებას, სხვათა შორის, წარედგინება განსახილველად: მუშათათვის საავადმყოფოს დაარსება ჭიათურაში; მარგანეცის ხარისხებად დაყოფის წეს-რიგის პროექტი; მარგანეცის მადნების დაცვისათვის სატეხნიკო კომიტეტის დაარსება; ჭიათურაში მომრიგებელ სასამართლოს დაარსება და სხვა.

✦ სამიწად-მოქმედო დეპარტამენტს უთხოვნია მიწად-მოქმედების რწმუნებულისათვის კავკასიაში მიანდეთ აგრონომს ბ. ნ ტიმოფეევს შეუდგეს **ჩაის მცენარის მოშენების ცდას ოზურგეთის მაზრაში.**

✦ გუშინ, ნაშუადღევის ოთხ საათზე, ნაფიცი ვექილის თანაშემწემ ახუმოვმა, განიზრახა თავის დედინაცვალის მოკვლა. დასჭრა იგი ხელში და ფერდში, შემდეგ თვითონვე თავი დაიჭრა მძიმედ.

✦ მორიგი კრება ბაქოს ნავთის **მწარმოებელთა** მოხდება 5-ს მომავალ მაისს.

✦ პეტერბურგის მინერალოგიურს საზოგადოებაში ინჟენერს კარნოჟიცკის წაუკითხავს მოხსენება აფხაზეთში აღმოჩენილ **ქვანახშირის მადნების შესახებ.** პროფესორის სიტყვით, ქვა-ნახშირი კარგის თვისებისაა: აქვს კოკსი 72% და ცოტა გოგირდი; მადნები ძლიერ მდიდარია. ხმა არის, რომ ბელგიელ კაპიტალისტებთ განუზრახავთ 75 მილიონი მანათი დაატრიალონ მადნების შემუშავებისათვის.

✦ ქუთაისის ოლქის სასამართლოს გაურჩევია ამ დღეებში ცნობილი **საქმე თ. გ. ჩიჩუასა და ნ. მგელაძის** შორის, რომლებმაც დასჭრეს შარშან ერთმანეთი ბანკის კრების დროს ქუთაისში. სასამართლოს ორივე უცვნია დამნაშავედ და მიუსაჯავს: ნ. მგელაძისათვის 4 წლით დატუსაღება და თ. ჩიჩუასათვის 1 წლით.

✦ მეურნეობის ინსპექტორი კავკასიაში ვ. ნ. გეევსკი და აგრონომი ს. ნ. ტიმოფეევი გაემგზავრნენ საქარის სანერგეში, რათა დაესწრნენ **მებაღე მუშათა** გამოცდას.

✦ გაზ. „კავკასიის მეურნეობის“ სიტყვით, კავკასიის სააბრეშუმო სადგურის გამგე **ნ. ნ. შავროვი** იგზავნება საზღვარ გარედ ევროპის მეაბრეშუმეობისა და მეფუტკრეობის მდგომარეობის გასაცნობ-შესასწავლად.

✦ შინაგან საქმეთა მინისტრის ნებართვით ტფილისში არსდება **ოდონტოლოგიური საზოგადოება.** საზოგადოების საგანია განხილვა და შემუშავება თეორეტიულად და პრაქტიკულად კბილის ექიმობის საქმისა და დახმარების აღმოჩენა საზოგადოების წევრთათვის, ესე იგი, დანტისტებისა და კბილის ექიმთათვის. საწევრო გარდასახადი წელიწადში ქალაქში

მცხოვრებ წევრთათვის 10 მანეთი, ქალაქ გარეშე მცხოვრებთათვის — 5 მანეთი.

✦ ამიერ კავკასიის სამეურნეო საცდელ სადგურებს დაურიგა იაპონიიდან ჩამოტანილი **თესლი საზეთო მცენარისა „ეგომა“** (perilla ocimoides). ამ თესლის ზეთი ძვირფასია თურმე და იხმარება სხვადასხვა ლაქის მოსამზადებლად.

## ტფილისის სათავად-აზნაურო ბანკის წევრთა კრება

27 აპრილს, დილით, სხდომა გაიხსნა $11\frac{1}{2}$ საათზე. წინანდელი სხდომის პროტოკოლის დამტკიცების შემდეგ, თავმჯდომარემ თ. ი. ზ. **ანდრონიკაშვილმა** გამოაცხადა — ჰსურს თუ არა ვისმეს ანგარიშის შესახებ ბაასი, ხოლო რადგანაც სურვილი არავინ გამოაცხადა, თავმჯდომარე დაეკითხა კრებას — ამტკიცებს იგი თუ არა ბანკის მოქმედების ანგარიშს?

თ. კ. ნ. **ჩერქეზიშვილი**. სანამ ანგარიშს დავამტკიცებდეთ, საჭიროა გავიცნოთ გამგეობის მოხსენება ბაქოს სააგენტოს საქმეებისა გამო, რადგანაც ამ მოხსენებას დიდი მნიშვნელობა აქვს და უამისოდ ანგარიში არ არის სრული. კრების თავმჯდომარე დაეთანხმა თავ. ჩერქეზიშვილს და მოახსენა კრებას შემდეგი მოხსენება ბანკის გამგეობისა ბაქოს სააგენტოს მოქმედების შესახებ საანგარიშო წელს:

„ბანკის გამგეობას არ შეუძლია დიდის მწუხარებით არ მიაქციოს რწმუნებულთა კრების ყურადღება ერთ სამწუხარო გარემოებას, რომელსაც ადგილი ჰქონდა საანგარიშო წელს და რომელმაც ჩვენს ბანკს საგრძნობელი ზარალი მოუტანა; ეს ზარალი ბანკი იძულებული იქმნა დაეფარა ნაწილი ამ წლის მოგებიდან და ნაწილიც მერმისის მოგებიდან უნდა დაიფაროს, რადგანაც მთელის ზარალის რაოდენობა აღმოჩნდება მხოლოდ 1900 წელს.

ეს სამწუხარო მოვლენა, რომელიც წარმოადგენს ერთად-ერთს მაგალითს ჩვენის ბანკის 26 წლის ისტორიაში, მძიმე შთაბეჭდილებას ახდენს ყველა იმათზე, ვისთვისაც ძვირფასია ინტერესები იმ საკრედიტო დაწესებულებისა, რომელიც ერთად-ერთი წყაროა ჩვენის საჭიროებათა დასაკმაყოფილებელ საშუალებათა. ზარალი, რომელი მოჰყვა ამ სამწუხარო გარემოებას, არ არის ისე დიდი, რომ გავლენა იქონიოს ბანკის ოპერაციებზე და შეამციროს მის თანხები, რომელნიც უზრუნველ ჰყოფენ ბანკის კრედიტორებთ, მაგრამ, მიუხედავად ამისა, ეს ზარალი საგრძნობელია იმ საზოგადო საჭიროებათა საგნებთათვის, რომლთათვისაც არის მხოლოდ ჩვენი ბანკი დაარსებული. აქ ძვირფასია ყოველი კაპეიკი, რადგანაც იგი ხმარდება საზოგადო საჭიროებას.

ამ უბედურების მიზეზია არა რაიმე მოუფიქრებელი მოქმედებაა ჩვენის დაწესებულების ოპერაციებში, არა შემცდარი ან სახიფათო რამ ნაბიჯი მის საქმეებში, არამედ ის გარემოება, რომ გამგეობის ერთმა წევრთაგანმა, რომელიც საზოგადოებამ 1898 წელს მიიწვია სამსახურისათვის, ვერ გაამართლა საზოგადოებენს ნდობა, როდესაც განაგებდა ბაქოს სააგენტოს.

ბაქოში სააგენტოს დაარსების საჭიროების შესახებ საკითხი არა ერთხელ ყოფილა აღძრული საზოგადო კრებებზე. მაგრამ საბოლოოდ სურვილი ამის შესახებ გამოცხადებულ იქმნა მხოლოდ 1898 წლის აპრილში და რწმუნებულთა კრებამ მხოლოდ ამ წელს დაამტკიცა ხარჯთ-აღრიცხვა ბაქოს სააგენტოსი. თუმცა ხარჯთ-აღრიცხვა დამტკიცდა აპრილში, თვით სააგენტო, სხვა-დასხვა საპატიო მიზეზებისა გამო, გაიხსნა მხოლოდ 1898 წლის 1-ლ ოქტომბერს. როგორც სააგენტოს დაარსება, ისე მისი მართვა-გამგეობა მიენდო გამგეობის წევრს პ. რ. ყიფიანს, გამგეობის დადგენილებისა თანახმად 25 ენკენისთვეს 1898 წელს; ამის გამო ყიფიანს მიეცა განსაკუთრებული ინსტრუქცია, რომელიც გამგეობამ დაამტკიცა 1898 წელს 15 ივნისს.

პ. რ. ყიფიანის მოღვაწეობა ბაქოს საგენტოში განიყოფება სამ ხანად, რომელნიც ძალიან განირჩევიან ერთმანეთიდან როგორც უკანონო მოქმედებათა მნიშვნელობით, ისე შედეგით, რომელიც მათ მოჰყვა. პირველი ხანა იწყება 1-ლ ოქტომბერს 1898 წელს და თავდება 16 იანვარს 1899 წ. ესე იგი იმ დღეს, როდესაც დასრულდა პირველი რევიზია სააგენტოსი, მოხდენილი გამგეობის თავჯდომარის მიერ; მეორე ხანამ 1899 წ. 16 იანვრიდან გასტანა 1-ლ მაისამდე, ესე იგი, იმ დღემდე, როდესაც დასრულდა მეორე რევიზია, მოხდენილი ზედამხედველ კომიტეტის თაოსნობით განსაკუთრებულ კომისიის მიერ, რომელიც შესდგებოდა კომიტეტის 3 წევრისაგან, გამგეობის ერთის წევრისაგან და ბანკის უფროს ბუჰგალტერისაგან. მესამე ხანას-კი უჭირავს მთელი შემდეგი დრო 1899 წლის 1-ლ მაისიდან.

პ. რ. ყიფიანის მოღვაწეობის პირველ ხანაში აღმოჩენილ იქმნა მხოლოდ ორი მცირე დაუდევრობა. ყოველივე დანარჩენი-კი, როგორც აღმოჩნდა, კარგ მდგომარეობაში იყო, რაც მეორე რევიზიამაც დაამტკიცა. მეორე ხანაში სარევიზიო კომისიამ აღმოაჩინა მრავალი დაუდევრობა, სესხის გაცემის საქმეში თვითნებური მოქმედება, ბანკის დიდ-ძალის ფულის შენახვა სახლში და ნაცნობებთან დიდის ხნით, წიგნებში ანგარიშების უწეს რიგო წარმოება, რამდენიმე შემთხვევა, რომელნიც წააგავდნენ სიყალბის ჩადენას და სხვა ამის მზგავსი მოქმედება სისხლის სამართლის გადასაცემ საქმეთა ხასიათისა; ყველა ამან აიძულა ზედამხედველი კომიტეტი დაეწყო პ. რ. ყიფიანის წინააღმდეგი საქმე და შეეტყობინებინა ყოველივე პროკურორისათვის; გამოძიებაც უკვე დაიწყო; მაგრამ, საბედნიეროდ, ყველა ამ უკანონო მოქმედებათ მეორე ხანისას მოჰყვა ზარალი მხოლოდ 118 მან. და 34 კაპ., რაც არ შეადგენს დიდ მატერიალურ დანაკლისს, მით უმეტეს, რომ ამ ზარალის დაფარვა ადვილად შეიძლებოდა დამნაშავის ქონებიდან ან შემოსავლიდან.

ამ გვარად, პ. ყიფიანის აგენტობის პირველ ორ ხანაში ბანკის მთელი ქონება, — როგორც ნაღდი ფული, ისე ფასიანი ქაღალდები — თითქმის ხელ-უხლებელი იყო. გაფლანგვა და დახარჯხვა დაიწყო მეორე ხანის გასვლისათანავე, ე. ი. მეორე რევიზიის შემდეგ, და აღმოჩნდა მხოლოდ შემდეგ პირობებში: 1) როცა მმართველობამ 1 სექტემბერს 1899 წ. გაუგზავნა მსესხებლებს უწყებები განცხადებით, რომ სავადო გადასახადის შემოუტანლობის გამო მათი მამულები გაყიდულ იქნებიან, ზოგიერთ ბაქოელ მსესხებელთაგან ცნობა მოეიდა, რომ მათ სავალდებულო გადასახადი სავსებით შეიტანეს ბაქოს აგენტთან, რის დასამტკიცებლად მათ კვიტანციებიც წარმოადგინეს. ამ მხრივ აღმოჩნდა, რომ პ. ყიფიანს მიუღია 1899 წლის 20 მაისიდან 30-მდე სხვა-და-სხვა პირებისაგან სავადო გადასახადები, — სულ 4,249 მ. და 5 კ., მიღების კვიტანციებიც მიუცია, მაგრამ აგენტურის გამოგზავნილ ანგარიშებში არ მოუხსენებია, მაშინ, როდესაც აგენტურის წიგნებში მიღებული ფული აღნიშნულია და ფული კი არ აღმოჩნდა; 2) ახალმა აგენტმა შეატყობინა 30 სექტ. 1899 წელს მმართველობას, რომ ერთი მსესხებელთაგანი თხოულობს ბანკისაგან 15,000 მ., რომელიც მმართველობის წევრს პ. ყიფიანს, როგორც ეტყობა, არ უნდა მიეცეს მისთვის. ამ პირის სესხის საანგარიშო ფურცლიდან სჩანს, რომ მას უნდა მისცემოდა 50,000 მ. გირავნობის ფურცლებით; აქედან წინანდელი ვალის გადასახდელად და სავადო გადასახადისათვის უნდა დაეჭირათ 16,225 მ. 90 კ.; უნდა დაეჭირათ აგრეთვე 30,000 მ. იმ დრომდე, სანამ სულ გაკეთებული არ იქნებოდა დასაგირავებელი სახლი. პ. ყიფიანის 1899 წლის მაისის ანგარიშში აღნიშნულია, რომ აგენტს მიუღია ხსენებული მსესხებლისაგან 16,380 მ. 7 კ. ნაღდი ფული; ნამდვილად კი ეს ფული არ აღმოჩნდა და არც კასსის წიგნშია ჩაწერილი. ანგარიშში ყიფიანმა დაფარა ეს დანაკლისი რაღაც შეუფერებელ ხარჯით და ამ გვარად შეუთანასწორა შემოსავალი გასავალს. ამ გვარად 16,225 მ. 90 კ. ბანკმა დაჰკარგა. ყიფიანს უნდა დაეჭირა კიდევ 30,000 მანეთის გირავნობის ფურცლები, როგორც ეს ზემოთ არის ნაჩვენები რადგანაც მსესხებელმა შეასრულა ის საქმე, რომლის მიზეზით ეს ფული იყო დაჭერილი, პ. ყიფიანი მოვალე იყო მიეცა ფული მსესხებლისათვის პირველ მოთხოვნისათანავე. აღმოჩნდა, რომ ამ 30,000 მ. გირავობის ფურცლებიდან წაუღია მსესხებელს ორჯელ 10,000 მანეთი, რისი დამამტკიცებელი საბუთებიც, თვითონ მსესხებლისაგან ხელ-მოწერილი, საქმეებში აღმოჩნდა. რაც შეეხება დანარჩენ 10,000 მან. — არის მხოლოდ დასაგირავებელ მამულის დაფასების ოქმზე ყიფიანის მიერ მიწერილი ფრაზა, რომ ეს ფული მან მისცა მსესხებელს, მაგრამ ამის დასამტკიცებელი დოკუმენტი აგენტურის ქაღალდებში არ არის. ამ გვარად მსესხებელს შეეძლო მოეთხოვა ბანკისაგან 10,000 მანეთის გირავნობის ფურცლები.

ამ გარემოებათა მიზეზით და იმ იურიდიული ფაქტის გამო, რომ მსესხებელს ხელთ ჰქონდა სესხის საანგარიშო ფურცელი, რომელშიაც ეწერა, რომ ბანკმა დაუჭირა მას 30,000 მანეთის გირავნობის ფურცელი, ბანკს უნდა დაემტკიცებინა, რომ მან მისცა მსესხებელს 30,000 მ.; მაგრამ, რადგანაც ბანკს მხოლოდ 20,000 მანეთის კვიტანციები ჰქონდა, უიმედო პროცესსის ასაცდენად და საკრედიტო დაწესებულების სახელის დასაცველად, მმართველობამ, ზედამხედველი კომიტეტის თანხმობით, მსესხელთან მორიგება არჩია, და ამ მორიგებით ბანკმა დაჰკარგა მხოლოდ 6,373 მ. 33 კაპ. ნაღდი ფული.

ამ გვარად მთელი ბანკის ზარალი, პ. ყიფიანის მიერ გამოწვეული, შესდგება შემდეგი ჯამებისაგან: 1) 4249 მანეთი 5 კაპეიკი სავადო გადასახადების ანგარიშიდან, 2/ 16,225 მან. 90 კაპ. ზემოდმოხსენებულ სესხისა და ამ

სესხის სავალო გადასახადის ანგარიშიდან, 3) 6,373 მან. 33 კაპ., რომელიც ყიფიანს არ მიუცია მისაღებ სესხისაგან და 4) 8 მან 43 კაპ. საზოგადო ანგარიშიდან; სულ 26,856 მან. 76 კაპ.; აქედან 20,428 მან. 78 კ. უკვე გადახდილია საანგარიშო წლის მოგებიდან, დანარჩენი უნდა გადახდილ იქმნას მიმდინარე წლის მოგებიდან, რადგანაც ეს ზარალი აღმოჩნდა და მოხდა მხოლოდ ამ უკანასკნელ წელს.

დასასრულ, ბანკის მართველობა საჭიროდ სთვლის სთქვას თავის მოხსენებაში, რომ პ. ყიფიანის აგენტობის დროიდან ბანკი მეტს ზარალს არ მოელის, რადგანაც აქამდე უნდა აღმოჩენილიყო, თუ რამე უკანონობა იყო ჩადენილი სესხის გაცემის ან სავალო გადასახადის მიღების საქმეში. აქამდე კი პრეტენზია არავის გამოუცხადებია; პირიქით, პ. ყიფიანის დროს გაცემული სესხის სავალო გადასახადები წესიერად შემოაქვთ მსესხებლებს. რაც შეეხება ბანკის დანარჩენ ქონებას, იგი ხელ-უხლებელია. მხოლოდ ერთი საქმეა, რომელმაც პროცესი გამოიწვია და რომელიც იმაში მდგომარეობს, რომ ერთი მსესხებელთაგანი ედავება ბანკს 39,600 მანეთის გირავნობის ფურცლებს, რომელნიც მას ვითომდა გადაუცია საკომისიოდ პ. ყიფიანისათვის. ბანკის მმართველობას საბუთი აქვს დავა გაუწიოს ამ მსესხებელს და ამიტომ მან გარდასწყვიტა, სანამ სასამართლო თავის განაჩენს არ დაადგენს, არ გახადოს ეს საქმე რწმუნებულთა კრების მსჯელობის საგნად და კითხვა ამ საქმის შესახებ ჯერ გარდაუწყვეტელი დასტოვოს“.

თავ. **დ. ლ. ამილახვარი.** რადგანაც ამ საქმეს დიდი მნიშვნელობა აქვს, მე ვითხოვ, რომ წაკითხულ იქმნან ოქმები სარევიზიო კომისიებისა და რევიზორების აზრი ბაქოს განყოფილების შესახებ.

**ნ. ა. ხუდადოვი.** გარდა ოქმებისა საჭიროა წაკითხულ იქმნას ინსტრუქცია, რომლით ხელმძღვანელობდა ბაქოს სააგენტოს მმართველი და აგრეთვე ის სადავო საქმეც, რომელიც სასამართლოშია ეხლა.

თავ. **გ. გ. მაჩაბელი.** საჭიროა წაკითხულ იქმნას აგრეთვე ზედამხედველ კომიტეტის ოქმები ამ საქმის შესახებ და თავ. ნ. დ. ანდრონიკაშვილის მოხსენება, რომელშიაც 23 მუხლად არის აღნიშნული ბაქოს სააგენტოს მმართველის უკანონო მოქმედებანი.

თავ. **გ. ს. ძიქელიძე.** ჩემის ფიქრით, არ შეიძლება გამოქვეყნება მხოლოდ იმ საქმისა, რომელსაც ეხლა სასამართლო არჩევს.

ამ აზრსავე აცხადებენ **გ. ს. საფარელიძე**, თ. **გ. გ. მაჩაბელი** და კრების თავმჯდომარე თ. ი. ზ. **ანდრონიკაშვილი.** კრებამ დაადგინა წაკითხულ იქმნას მთელი საქმე ბაქოს სააგენტოს შესახებ გარდა სასამართლოში გასარჩევ დავისა.

ამ საბუთების კითხვამ გასტანა 3 საათამდის, რის შემდეგაც კრება გადიდვა საღამოს $7^1/_2$ საათისათვის.

## საყურადღებო ცირკულიარი*)

„ამის გამო და აგრეთვე იმის ძალით, რომ ეხლანდელ დროს წესიერად მოწყობილი სასოფლო მმართველობა, სოფლისავე სასარგებლოდ და სახეიროდ, დიდს საჭიროებას წარმოადგენს ჩემდამო მონდობილს გუბერნიაში, ვუბრძანებთ ბ-ნთ მაზრის უფროსებს — გააგებინონ სოფლის საზოგადოებათ, რათა აირჩიონ მამასახლისებად წიგნის რიგიანად მცოდნენი სრულიად სამედო მკვიდრნი, მამასახლისების ხელის შესაწყობად კი იყოლიონ იმისთანა მწერლები, რომელთაც შეეძლოთ დაუბრკოლებლივ აწარმოვონ ყველა სასოფლო წიგნები, მათ შორის ახლად შემოღებული ფორმის წიგნი, სადაც იწერება და ინიშნება ფოსტისა და სხვა ხარჯის ანგარიში, შეადგინოვ, შეავსონ და გაასწორონ ხოლმე საქონლის სიები, თანახმად ჩემის ცირკულიარისა ამ წლის 11 თებერვლის თარიღით, № 296 (საბგითალო ნაწილი) და, საზოგადოდ, რიგიანად აწარმოვონ სასოფლო მმართველობის საქმის წარმოება და მიწერ მოწერა. ამასთანავე წინადვე გაცოდინებთ, რომ ახლად ამორჩეულ მამასახლისების დამტკიცების დროს დიდის სიფრთხილით მოვიქცევი და უსათუოდ ვიხელმძღვანელებ ზემოდ აღნიშნულ კანონიერ მოთხოვნილებით, უკვე დამტკიცებულ მამასახლისებს სასტიკად მოვთხოვ ამავე კანონის მოთხოვნილების ასრულებას. ზემოდ აღნიშნულს გარდა ყოველი სამამასახლისო მოვალეა ჰქონდეს რიგიანი შენობა სასოფლო კანცელარიისა და სასამართლოს მოსათავსებლად და იყოლიოს ქირით ან არჩევანით იმდენი გზირი, რამდენიც საჭიროა. რაც შეეხება იმას, თუ როგორ დაიფარონ თავიანთი თავი ქურდ-ბაცაცებისაგან, სოფლის საზოგადოებანი მოვალენი არიან, სოფ. დებულების მე-113 მუხ. 4 §-ს თანახმად, იყოლიონ სოფლად დარაჯები და ამ შემთხვევაში არანაირად იმედი არ უნდა ჰქონდეთ ახლად შემოღებულ საპოლიციო დარაჯთა რაზმისა, რომელსაც აქვს განსაკუთრებული დანიშნულება და არასოდეს არ უნდა ასრულებდეს სოფლის დარაჯისა და გზირის მოვალეობას.

„ვაცოდინებ რა ზემოდ აღნიშნულს, ვუბრძანებ პ-ნთ მაზრის უფროსთ: 1) ეხლავე, დაუყოვნებლივ, განუმარტონ მათდამი ჩაბარებულ სოფლის მკვიდრთ სასოფლო ყრილობებზე, მამასახლისებს და აგრეთვე დანარჩენ სოფლის მოხელეებს აქ ჩამოთვლილი მათი მოვალეობანი; 2) გამოუცხადონ ხალხს სოფლის ყრილობაზე, რომ დაუნიშნოს ჯამაგირი სოფლის მწერლებს, აირჩიოს ან დაიქირაოს გზირები, დააწესოს ყარაული და გადასდოს საჭირო ფული სასოფლო კანცელარიის მოსაწყობად და მის შესანახად. რა მოვალეობასაც სოფელი იკისრებს, ყველაფერი უნდა აღინიშნოს სოფლის ყრილობის განაჩენით; 3) გამოუცხადონ მამასახლისებსა და დანარჩენ სოფლის ყრილობისაგან არჩეულ მოხელეებს, რომ ბოროტების ჩადენისა, დაუდევრობისა და საქმის ასრულების დაგვიანებისათვის ისინი სასტიკად დაისჯებიან, სასამართლოს წესით, სისხლის სამართლის დებულების 341, 356, 357, 362 და შემდეგ მუხლთა თანახმად და 4) ამ ბრძანების შესრულების ამბავი მომხსენდეს მე, შეძლებისადაგვარად, უახლოვესს დროს და არა უგვიანეს მომავალის მკათათვის პირველის რიცხვისა“.

ბ-ნ ტფილისის გუბერნატორის ესევე ცირკულიარი ამ დღეებში გაეგზავნება ასასრულებლად და სახელმძღვანელოდ ტფილისის გუბერნიის მომრიგებელ შუამავლებსაც.

*) იხ. „ცნ. ფურც.“ № 1107.

# დეპეშები

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

**26 აპრილი**

**პეტერბურგი.** დამზღვევ საზოგადოების „როსსია“-ს საზოგადო კრებამ დაამტკიცა 1899 წლის ხარჯთაღრიცხვა. შეუკრებიათ პრემიები — 14.438,558 მანეთისა; მიუციათ დაზღვეულთათვის — 8.783,797 მ.; მიუმატებიათ სათადარიგო პრემიებისათვის — 3.120,182 მ., აქციონერების დივიდენდი — 20 მ. ერთ აქციაზე. სათადარიგო თანხა ავიდა 1900 წლის 1 იანვარს — 34.873,761 მანეთამდე, გარდა ძირითადი თანხისა, რომელიც 4.000,000 მანეთს უდრის.

**პენზა.** კარპოვების საქმის გარჩევა გათავდა და სასამართლომ გადაუწყვიტა: ალექსანდრე კარპოვს — ორი წლით ციხე, მის დედას და მამას — ყოველისავე ღირსების ჩამორთმევა და ექვსი წლით კატორღა; დედის შესახებ იშუამდგომლობენ, რათა კატორღის მაგიერ ერთი წლით ციხეში დაამწყვდიონ.

**ლონდონი.** სმალდეელიდან იუწყებიან, რომ რობერტსის პროკლამაციამ დიდი ზედ მოქმედება ვერ იქონია, რადგანაც ყველა ფერმები მიტოვებულია, საქონელი და ცხენები კი წართმეული. სიმარჯვე, რომელსაც ბურები იჩენენ თავიანთ მოძრაობაში, მეტად მძიმე შთაბეჭდილებას ახდენს ინგლისის ჯარებზე. როცა ინგლისელები სმალდეელში შევიდნენ, ბურები სულ ხუთი მილის სიშორეზე იყვნენ მთელ თავიანთ სასურსათო ფურგონებით.

**იოჰანესბურგი.** საოჯახო პანსიონში, რომელიც ბევბის თოფხანის გვერდით იდგა, სუფრაზე მსხდარი 37 კაცი მომკვდარა.

**ბულუვაიო.** იტყობინებიან, რომ პლუმერს ძველი ბანაკი უჭირავსო; სოლსბერიდან მას მოსვლია 100 კაცი. რადგანაც ჯარი მცირეა და მასთან ბევრი ავადმყოფიც, ამიტომ მეფეკინგის განთავისუფლების იმედი თითქმის არ არის. ბულუვაიოში დღე-დღეზე ელიან კარრინგტონს; ბანაკსაც უმზადებენ მის ჯარებს. სმალდეელიდან იტყობინებიან, რომ გენ. ბოტამ, როგორც კი დაინახა ტაბანჩუსთან ჯარის მარჯვენა მხრის უკან დახევა, საჭიროდ სცნო უკან დაეწია მარცხენა მხარეც. — მეფეკინგიდან იტყობინებიან, რომ გარნიზონს შეუძლია გამაგრდეს მაისის 18 მაისის შემდეგაც, მაგრამ მდგომარეობა მეტად სერიოზულია. საჭმელი არ ჰყოფნით ავადმყოფობისაგან დასუსტებულ ჯარის-კაცებს. დიდი წვიმების გამო, გახშირდა ციება, დისენტერია, სახადი და მალიარია.

**პეკინი.** რამდენად უხერხულია ის შეთანხმება, რომლის ძალით ჩინეთის მდინარეებში შეუძლიანთ ევროპიელებს თავიანთი გემებით შესვლა, სჩანს იქიდან, რომ ჩინეთის დამოენამ არ მისცა ნება ინგლისის გემს მიმოსვლა გაემართა შანხაისს, ტინგაის და ჩუსანის კუნძულებს შუა, რადგან, დამოენის მოხელეების შეხედულებით, ეს გემი ზღვის ტიპისაა და არა მდინარის ტიპის.

**ბერლინი.** რუსეთის სამხედრო დეპუტაცია დაჰპატიჟა სადილათ იმპერატორ ალექსანდრეს პოლ-

კმა. სადილზე იყვნენ პოლკ. თავ. ენგალიჩევი, პოდპოლკ. გრაფი კოსტიცი და სხვ.

**სიმლა.** შავი ჭირი შესუსტდა მთეს ინდოეთში.

**ვაშინგტონი.** კრებაზე, რომელშიაც მონაწილეობას იღებდნენ ორივე პალატის და კონგრესსის წევრები, გარდაწყვიტეს დახვდნენ ბურების მისსიას ისე, როგორც წინად ლაფაიეტს, კოშუტს და პარნელს. ამზადებენ დიდ მანიფესტაციებს.

**ნიუ-იორკი.** ქალაქმა გარდასწყვიტა დიდის ამბით დახვდეს ბურების მისსიას. გარდაწყვეტილებაში ნათქვამია, რომ ქალაქის მმართველობა ეგებება მისსიას და არწმუნებს მას, რომ ნიუ-იორკის მცხოვრებნი ცხოველის ინტერესით თვალს ადევნებენ სახელოვან ბრძოლასაო. ამ გარდაწყვეტილების წინააღმდეგი მხოლოდ ერთი ხმა იყო.

27 აპრილი

**სმალდელი.** მტერი სტოვებს ზანდის ნაპირებს და იწევს მდინარე ვაალსისაკენ. სხვა ცნობებიდან კი სჩანს, რომ ბურები ბანაკდებიან ბოშრანდთან, კრონშტადტიდან სამხრეთით. ძალიან ბევრი ბურგერები გამოცხადდნენ ინგლისის მთავრობის წინაშე და გარდასცეს მას მაუზერის თოფები და ცხენები. როგორც იტყობინებიან, ორანჟეს და ტრაასვალის ბურებს შორის ძლიერი უთანხმოება სუფევს და შეიძლება ეს უთანხმოება დაბოლოვდეს იმით, რომ ორანჟეს ბურები გამოაცხადებენ ინგლისის დამორჩილების სურვილს. ფრენჩი შეუერთდა რობერტსის ჯარს.

**ბერლინი.** კრონპრინცის სრულწლოვანების დღესასწაულის დღეს იმპერატორმა მიიღო მილოცვა დიდი მთავრის ვლადიმერ ალექსანდრეს ძისაგან.

**კონსტანტინეპოლი.** სანიტართა საბჭოს განკარგულებით, სმირნადან კონსტანტინეპოლში წამსვლელნი სამჯერ უნდა იქმნან გაშინჯული მკურნალთაგან.

**მელბურნი.** ლევერპულიდან მომავალი გემი „სიერა ნევადა“ დაიღუპა. გადარჩა 5 კაცი, დაიღუპა 22 კაცი, მათ შორის კაპიტანიც.

**ვენა.** ჩეხელები განაგრძობენ ობსტრუქციას. კატოლიკეთა პარტიამ შეიტანა წინადადება შინაგან წესდებათა შესაცვლელად, რათა ხელი შეუშალონ ობსტრუქციას.

**პორტიჩი.** ვულკან ვეზუვიზედ იმატა ნაცარ ტუტისამოდენამ.

**ნიჟნი-ნოვგოროდი.** არხიტექტორმა ნიკიტინმა ჩხუბის დროს მოკლა თავისი ცოლი რევოლვერით. მკვლელი დააპატიმრეს.

**ბუდაპეშტი.** მონკაჩი დიდის ამბით დაასაფლავეს.

**რეზინა.** ვეზუვიდან ნაცარტუტის ამოდენამ იკლო. მცხოვრებნი დამშვიდდნენ.

**მასსერუ.** ბურებმა დასტოვეს ლედი-ბრანტი და ფიკსბურგი. მოხელეებმა აქედან წაიღეს ყველა წიგნები და საბუთის ქაღალდები. ყოველივე, რაც კი შეეხებოდა ომის დაწყებას და ბურების შეიარაღებას მაუზერის თოფებით, დაფარულ ან განადგურებულ იქმნა.

**კაპშტადტი.** უმაღლესმა სასამართლომ დაადგინა, რომ ეროვნული ბანკი ტრანსვალში არ უნდა ჩაითვალოს მოწინააღმდეგეთა დაწესებულებათ, მხოლოთ იმიტომ რომ ტრანსვალის მთავრობა ყველაზედ მეტს მონაწილეობას იღებს ამ ბანკში.

**ლონდონი.** პრონზოჯეს ლიგის წლიურ კრებაზედ სალისბერიმ წარმოსთქვა სიტყვა, რომელშიაც გამოსთქვა, რომ ევროპის სახელმწიფოებთან, რამოდენათაც მან იცის, ინგლისს არავითარი განხეთქილება არა აქვს. მშვიდი ნეიტრალიტეტს სახელმწიფოთა ინგლისის საქმეების შესახებ სამხრეთ-აფრიკაში და ამ შემთხვევაში მათს სამართლიანობა დიდათ აფასებს ინგლისი მაგრამ აქედან ის არ უნდა ვიფიქროთ, რომ ინგლისს შეუძლიან ამ მხრით მთლად უზრუნველყოფილად ჩათვალოს თავი. ინგლისი უნდა ეწმუნებოდეს მხოლოდ თავის ძალას. სალისბერმა ამას დაუმატა, რომ მისი სიტყვები არ არის გამოწვეული ისეთი მიზეზით, რაიცა ჩააგდებდეს საფიქრებელში გარეშე სამეთა მინისტრს, მაგრამ უნდა გვახსოვდესო, რომ ყველა სახელმწიფოში მოიპოვება ჯგუფები, რომელნიც, თუმცა რიცხვით მცირები არიან, მაგრამ მაინც ხმაურობენ და რომლებიც ყოველთვის ცდილობენ გაუტეხონ სახელი ინგლისს. ეს აქა-იქ არსებულმა ინგლისის წინააღმდეგ უკმაყოფილებამ შეიძლება ღრმად გაიდგას ფესვები და მაშინ ინგლისს დასჭირდება ჯეროვანი ყურადღების მიქცევა. შემდეგ სალსბერმა ილაპარაკა ინგლისის მდგომარეობის შესახებ. საყოველთაო სამხედრო ბეგარა არ იქნება მიღებული ინგლისელთაგან. უნდა აღმოჩენილ იქმნას საშუალებანი, რათა მცხოვრებთ შეისწავლონ თოფ-იარაღის ხმარება, რომ შეეძლოთ მტრის მოგერება. ამ უკანასკნელ საქმეში უნდა იღებდეს მონაწილეობას მთელი ერი, და არა მარტო მთავრობა. უნდა მივაღწიოდ იმას, რომ ინგლისი გარდიქცეს მთლად შეიარაღებულ სახელმწიფოდ.

დრ. რედ. **ალ. ჭყონია**

## გამოსადეგი ცნობანი

### ნიხრი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| ხორცი ძროხისა | 1 | გ. | —10 | კ. |
| სუკი . . . . | 1 | » | —15 | კ. |
| » ცხვრისა . | » | » | —11 | კ. |
| » კამეჩისა. . | » | » | — 5 | კ. |
| » ღორისა. . | » | » | — 8 | კ. |
| » ღორის ბარკალი საღორეთი . | 1 | » | —10 | კ. |

(ძროხისა და ცხვრის ხორცს იის ფერი ბეჭედი ადევს, კამეჩს—მწვანე, ღორს—დამღა).

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| პური ფურნისა | I ხარ. | 1 | გ. | 5 | კ. |
| » » | II | » | » | $3^1/_2$ | » |
| » » | III | » | » | 3 | » |
| იგივე თონისა | I | » | » | 5 | » |
| » » | II | » | » | 4 | » |
| » » | III | » | » | $3^1/_2$ | » |
| ლავაში ჭვ. მამ. | I | » | » | 6 | » |
| » » | II | » | » | 4 | » |

---

### ტფილისის ბაზრები:

გაიყიდა მეიდნებზე: კუკზალზე,

| ხორბალი საუკ. | ფუთი. | მ. | კ. | მ. | კ., |
|---|---|---|---|---|---|
| | 1 | 1 | 30 | 1 | 20 |
| ხორ. წითელი. . . | 1 | 1 | 15 | — | |
| ქერი . . . . . | 1 | — | 88 | — | 85 |
| სიმინდი . . . . | 1 | — | 70 | — | — |
| ფქვილი სოფლისა. | 1 | 1 | 20 | — | — |
| » უფრო მდარე. | 1 | 1 | 10 | — | — |
| კომბოსტო. . . . | 1 | — | 60 | — | — |
| კარტოფილი. . . | 1 | — | 60 | — | — |
| ხახვი . . . . | 1 | — | 50 | — | — |
| თივა . . . . . | 1 | — | 60 | — | — |
| ბზე . . . . . | 1 | — | 28 | — | — |

შეშა რცხილისა 1 სრული საყ. საწყობებში 38 მ., შეშა ნარევი 36 მ. ცხვარი თუშისა 3 მ. 50 კ.-დან 5-მდე, ცხვარი თათრული 3 მ. 8 კაპეიკიდან 4 მ. 60 კ.-მდე, ღორი 8ადგილობრივი ჯიშისა 8.-დამ მ. 50 კ.-მდე, ძროხა და ხარი აქაური საკლავი 30 მ.-დან 45 მ.-მდე, ხარი შესაბმელი,—კამეჩი—მ. -მდე, კამეჩი საკლავი 26 მ.-დამ 34 მან., შესაბმელი— მ.

---

### რუსეთის ბაზრები:

ფქვილი როსტოვში.

| ხარისხ. | | ხარისხ. |
|---|---|---|
| № 0—9 მ. 25 კ. | | № 4—7 » 25 » |
| № 1—8 » 50 » | | № 5—7 » — » |
| № 2—8 » — » | | № 6—6 » 75 » |
| № 3—7 » 50 » | | № 7—6 » 25 » |

სიმინდი (ნოვოროსსიაში) 1 ფ. 54 კ. 41 კ. ქერი როსტოვში 66 კ. 62 კ.-მდე ნოვოროსსიაში 68 კ. 69 კაპიკამდე.

მოტანა ტფილისამდე 1 ფ. 87 კ.

შაქარი იქვე ფუთი 5 მან. 70 კ.

„ფშხვნილი „ 4 „ 80 „

მატყლი ისპანიური, თეთრი ფ. 10 მ.—11 მ. 85 კ., მატყლი 10% შავ-ნარევი — ადგილობრივი—3 მ. 50 კ.—4 მ. 10 კ., გარეცხილი 8 მ. 37 კ. ისპანიის ჯიშის ცხვრის ტყავი თითო 2 მ. 60 კ.-მდე.


## განცხადებანი

**ტფილისის ქალაქის გამგეობა ამით აცხადებს,** რომ, მის თანადასწრებით, შუადღის 12 საათზე, ამა წლის 29 აპრილს დანიშნულია ვაჭრობა ბეტონის სამირკველზე ნაქსის (გრანიტი) ოთხ-კუთხი ქვით სასახლის ქუჩისა და კუკიის ორ ხიდ შუა მეორე ქუჩის დაფენაზე, სივრცით 700 ოთხკუთხ საჟენამდე. ვისაც სურს მიიღოს მონაწილეობა ვაჭრობაში, შეუძლიან პირობანი ვაჭრობისა განიხილოს გამგეობის მესამე განყოფილებაში ყოველ დღე, კვირა-უქმეებს გარდა, დილის 9 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე ნ (3—1)

**ტფილისის ქალაქის გამგეობა**

ამით აცხადებს საყოველთაოდ, რომ იგი მიიღებს შეწირულებას შესაკეთებლად ხელოვნებში უქმნელის მაცხოვრის ხატის ტაძრისა, რომელიც სოფელ მარტყოფში იმყოფება, ტფილისის მაზრაში. (ნ 3—2)


გამომც. გ. ჯუხია

Дозволено цензурою. Тифлисъ, 27 Апрѣля, 1900 г.

სტამბა წიგნების გამომცემ. ქართ. ამხ—სა. ვანქის დიდი ქუჩა, № 27.